



## ცვლილება ბრძანებაში

### შინაარსი

- აქტივის /საქონლის საქართველოში შემოტანისას იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლება
- საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები
- საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირის დღგ-ით დასაბეგრ ერთ პირად განხილვა

### აქტივის / საქონლის საქართველოში შემოტანისას იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლება

2024 წლის 2 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №329, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად, აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახალი 111<sup>15</sup> მუხლი, რომელიც ეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული გადასახადებისაგან გათავისუფლების წესებს და პირობებს. კერძოდ, ცვლილების შედეგად განისაზღვრა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოდან საქართველოში აქტივის/საქონლის შემოტანისას, გადასახდელისგან/გადასახდულებისაგან გათავისუფლების წესი და პირობები.

ცვლილების თანახმად განსაზღვრული ყველა შემდეგი პირობა უნდა დაკმაყოფილდეს, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის შემთხვევაში აქტივის საქართველოში იმპორტი გათავისუფლდეს იმპორტის გადასახდელისაგან:

- აქტივის იმპორტი განხორციელებულია 2028 წლის 1 იანვრამდე
- საქართველოში და შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში წილის/აქციების 100%-ს ერთი და იგივე ფიზიკური პირი ან ფიზიკურ პირთა ჯგუფი ფლობს
- ფიზიკური პირი/ჯგუფი უცხოური საწარმოს 100%-იან წილს ფლობს 2024 წლის 5 ივნისის მდგომარეობით
- ფიზიკური პირი/ჯგუფი საქართველოს საწარმოს 100%-იან წილს ფლობს აქტივის გადაცემის ან/და საქონლის იმპორტის მომენტის დროს.

აქტივის/საქონლის საქართველოში იმპორტისას, საქართველოს საწარმომ იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების მიზნით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს განცხადებით (დანართით №VII<sup>7</sup>-01), რომელსაც თან უნდა დაერთოს:

- უცხოური საწარმოს მიერ წილის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- 2024 წლის 5 ივნისამდე ყველა აქტივის/საქონლის, წილის/აქციის დამადასტურებელი დოკუმენტები
- საქართველოს საწარმოსთვის აქტივების უსასყიდლოდ გადაცემის ან/და კაპიტალში შეტანის დოკუმენტები.

იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი განცხადება ზემოხსენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, საგადასახადო ორგანო გამოსცემს ბრძანებას „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის საფუძველზე აქტივის/საქონლის იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების თაობაზე“. ასევე, თუ წარდგენილი განცხადება დამატებით ინფორმაციას/დოკუმენტაციას საჭიროებს ან/და არსებობს სხვა სახის ხარვეზი, საგადასახადო ორგანო განმცხადებელს 15 სამუშაო დღიან ვადას მისცემს ხარვეზების აღმოსაფხვრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო ორგანო გამოსცემს ბრძანებას აქტივის/საქონლის იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 3 ოქტომბრიდან.

## საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციები

2024 წლის 3 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №331, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 18 დეკემბრის №423 ბრძანებით დადგენილ „საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების შესახებ“ ინსტრუქციაში.

ცვლილების შედეგად აღნიშნულ ბრძანებას დაემატა ახალი 14<sup>1</sup> მუხლი, რომელიც განმარტავს სესხის კაპიტალში შენატანად კვალიფიცირებას საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან მიმართებაში. აღნიშნული მუხლის მიხედვით სესხად განხილული ოპერაციის კაპიტალში შენატანად დაკვალიფიცირებისას გაითვალისწინება 14<sup>1</sup> მუხლში დამატებული 12 კრიტერიუმი. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით ან/და ფაქტობრივი გარემოებებით სესხად განხილული ოპერაციის სრულად ან ნაწილობრივ დაკვალიფიცირება მოხდება მას შემდეგ, როდესაც ოპერაცია არანაკლებ 3 კრიტერიუმს დააკმაყოფილებს. კონტროლირებული ოპერაციის მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და ფაქტობრივი გარემოებებით სესხად განხილული ოპერაციის კაპიტალში შენატანად სრულად ან ნაწილობრივ დაკვალიფიცირებისას გაითვალისწინება შემდეგი კრიტერიუმები, მაგალითად:

- ფიქსირებული დაფარვის გრაფიკი
- პროცენტის გადახდის ვალდებულება
- სესხის ძირის/პროცენტის მიღება იძულებითი აღსრულების გზით
- გამსესხებლის სტატუსი (სუბორდინაცია) სხვა კრედიტორებთან მიმართებაში
- სახელშეკრულებო შეზღუდვები და დაცულობის მექანიზმები
- სასესხო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა
- მსესხებლის კაპიტალის სტრუქტურა
- სესხის აღების საჭიროება და ხარჯვის მიზნობრიობა
- სასესხო ვალდებულებების გადავადება
- მონაწილეობა მსესხებლის მართვაში
- სესხის გაცემა წილის ფლობის პროპორციულად ან/და ფლობის პირობით
- სესხის კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ბრძანების მოქმედება არ ვრცელდება 2025 წლის 1 იანვრამდე გაცემულ სესხებთან მიმართებაში 2025 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ საკურსო სხვაობაზე და 2025 წლის 1 იანვრამდე დარიცხულ პროცენტზე, რომლის გადახდაც განხორციელებულია ამავე ან შემდგომ პერიოდებში.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 4 ოქტომბრიდან.**

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანისას იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებას, საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებსა და საქართველოში დაფუძნებული რამდენიმე პირის დღგ-ით დასაბეგრ ერთ პირად განხილვას.

**მარიამ ხუსკივაძე**  
MKhuskivadze@bdo.ge

**მიხეილ ენუქიძე**  
MENukidze@bdo.ge

► ვრცლად [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

## საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირის დღგ-ით დასაბეგრ ერთ პირად განხილვა

2024 წლის 15 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №342, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად, აღნიშნული ბრძანების 46-ე მუხლის შემდგომ დაემატა ახალი 46<sup>1</sup> მუხლი სათაურით “საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირის დღგ-ით დასაბეგრ ერთ პირად განხილვა”.

აღნიშნული ცვლილება პირდაპირ კავშირშია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილთან და მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე დაფუძნებული რამდენიმე პირის საგადასახადო ორგანოს მიერ ერთ დასაბეგრ პირად განხილვისთვის აუცილებელ შემთხვევებსა და წესებს დღგ-ის გადახდისგან თავის არიდების აღკვეთის მიზნით.

აღნიშნული მიდგომა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა რამდენიმე დასაბეგრ პირთან მიმართებაში:

- მათ საქმიანობასთან/მართვასთან დაკავშირებულ ძირითად გადაწყვეტილებებს იღებს ერთი და იგივე პირი
- მათი საქმიანობის ადგილი იდენტურია
- მათი საქმიანობის სახე და შინაარსი იდენტურია
- ჯგუფის მონაწილე რომელიმე წევრი არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად.

ბრძანების თანახმად, გადაწყვეტილების მიმღები პირი ერთი და იმავეა, თუ ამ მუხლით განსაზღვრული საკითხებიდან სულ მცირე ორ საკითხზე მაინც არის გადაწყვეტილების მიმღები, მაგალითად, დივიდენდის განაწილება, საწარმოს რეორგანიზაცია, ინვესტიციების განხორციელება და სხვა.

რაც შეეხება საქმიანობის სახისა და შინაარსის იდენტურობის განსაზღვრას, აუცილებელია სახეზე გვექონდეს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი:

- პირები ახორციელებენ ერთსა და იმავე, ანალოგიური ან მსგავსი საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას
- პირები ახორციელებენ ერთსა და იმავე ეკონომიკურ სექტორთან დაკავშირებულ ანალოგიურ ან მსგავს ძირითად საქმიანობას
- პირების საქმიანობა ორიენტირებულია ერთსა და იმავე სამიზნე მომხმარებელზე
- პირები ფლობენ ან/და იყენებენ ერთსა და იმავე ძირითად საშუალებებს
- სხვა გარემოება, რაც მიუთითებს საქმიანობის სახისა და შინაარსის იდენტურობაზე.

დამატებით განისაზღვრა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი პირები (პირი/ფიზიკური პირი/საწარმო ან ორგანიზაცია/იურიდიული პირის სტატუსის არ მქონე დამოუკიდებელ პირთა გაერთიანება), ამ ინსტრუქციის მიხედვით განიხილებიან ერთ დასაბეგრ პირად, თუ მათი დაფუძნების ადგილი არის საქართველოს ტერიტორია, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში, მათი მუდმივი მისამართი ან საცხოვრებელი ადგილი არის საქართველოში.

ცვლილების არსი დეტალურად განხილულია ბრძანებაში მოყვანილ საილუსტრაციო მაგალითში, რომლის მიხედვით მოხდა სამი პირის (მათ შორის, ორი იურიდიული პირი და ერთი ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირი) ერთ დასაბეგრ პირად განხილვა ყველა საკმარისი პირობის დაკმაყოფილების საფუძველზე, რამაც გამოიწვია დასაბეგრი ოპერაციების საერთო ჯამური თანხის 100,000 ლარზე გადაჭარბება და ამის საფუძველზე ამ პირების დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

## **აღნიშნული ცვლილება ძალაშია 2024 წლის 17 ოქტომბრიდან.**